№ 15. 16 აპრილს 1871 16 აპრილს № 15.

# დროება

გაზეთის ფასი

| თფილისში და გარეშე ადგილებში: გაგზავნით | | გაუგზავნელათ: |
| --- | --- | --- |
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევარის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ერთის თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით—ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში—„დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-მელიქოვის და კომპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში—ვ. კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი:

საქართველო: ფოთი („დროების“ კორრესპონდენცია),—წვრილი ამბები.—რუსეთი:—წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი,—გერმანია.—ამ კვირის ტელეგრამმები.—რა არის კომმუნა?—ვერა დმიტრიევას საქმე (დასასრული).—ბიბლიოგრაფია.—ნარევი.—

## საქართველო

### ფოთი

(ჩემს ძვირფასს თანამემამულეს და მეგობარს—ს.)

„დროების“ კორრესპონდენცია.

ერთი კვირის წინეთ მე შემხვდა ფოთში წასვლა, სადაც მთელი კვირა დავრჩი. რამდენმამე წელიწადმა გაიარა, რაც მე ფოთი არ მენახა, და ახლა რომ ვნახე, გამიკვირდა, როგორ გაზრდილა და გამოცვლილა ეს ქალაქი ცოტა ხნის განმავლობაში. სივრცით მას ახლა ქუთაისზე მეტი ადგილი უჭირავს, მცხოვრების რიცხვით, მგონი, ბევრათ არ დაუვარდება ქუთაისს; რა საკვირველია, მათ შორის ბევრნი დროებით ცხოვრობენ აქ. შენობებიც ბევრია და თან და თან მატულობენ. სახლები, რამოდენსამე გარდა, ხისაა, რადგანაც ქვა აქ მახლობლად არ იშოვება და შორიდგან მოტანილი მეტად ძვირად ჯდება. დაუწყიათ გაშენება საქალაქო ბაღისა. სასწავლებელი ორია: ერთი უეზდის, მეორე საქალო შკოლა. ჯერ-ჯერობით ქალაქი მხოლოდ რიონის მარცხენა მხარეზე მდებარეობს; კუნძულზე კი, რომელიც რიონის ტოტებს შუა არის, ცოტაოდენი შენობები სდგას, იმათ შორის ერთი ახლად აშენებული ეკლესია; მაგრამ მომავალში, თუ რომ პორტის გაკეთება მოხერხდა იქ, სადაც აკეთებენ (რიონის ჩრდილოეთის ტოტზე, კუნძულის გვერდით), მაშინ კუნძული ჩქარა გაშენდება და ქალაქის უმთავრეს ნაწილად გახდება, მით უმეტეს, რომ ის ცოტათი უფრო მაღალი და მშრალია, ვინემ რიონის მარცხენა მხარე, რომელიც ახლა უჭირავს ქალაქს, და ამასთანვე აქვე, კუნძულის გვერდით, იწყება რკინის გზა. . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . .

უოვჭლს შემთხვევაში ფოთი უპორტოთ არ დარჩება: თუ იქ არ მოხერხდა მისი გაკეთება, სადაც ახლა აშენებენ, ის ადვილათ გაკეთდება პალიასტომის ტბაში, რომელიც ფოთის სამხრეთით ძევს და ზღვასთან მდინარით, მალთაყვით, არის შეერთებული. სიღრმე ამ ტბას საკმაო უნდა ჰქონდეს ზღვის გემების სადგურად, და თუ ვინიცობაა რიონიც გადმოუშვეს იმაში, რაც დიდათ ძნელი საქმე არ არის, ეს ხომ კიდევ უკეთესი იქნება. . .

. . . . . . . . . . . . . . . . .

ფოთის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა. მე მითხრეს, რომ, როდესაც რიონი გადივლის, თურმე, წყალს შემოაქვს ხშირათ ეზოებში და სახლების ქვეშ პატარა და დიდი თევზები, მაგ. კობრები, რომელთაც ხელით იჭერენ. რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოანი ჰავა აქვს. პირველ შეხედვით, კაცი იტყვის, რომ ეს ხოლერის და ყველა გვარი ციებ-ცხელების ბუდე უნდა იყოსო, და მართლაც აქაური ჰავა კარგი არ არის, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ის იმდენათ ცუდი და მავნებელი არ ყოფილა, როგორც საფიქრებელია; ასე რომ შიგნით სამეგრელოში, გურიაში და იმერეთში ძლიერ ბევრი ადგილებია იმისთანაები, რომელთაც უფრო ცუდი ჰავა აქვსთ, სადაც უფრო ბუდობს ციებ-ცხელება, ვინემ ფოთში. ამის თავი მიზეზი უნდა იყოს ზღვის ჰაერი და ქარი, რომელიც ზღვიდგან თურმე თითქმის ყოველდღე ჰქრის ფოთში ხან სუსტად, ხან ძლიერ, ჰფანტავს მავნებელს ოშხივარს, ხაშმს და სწმენდს ჰაერს. ძლიერ სასარგებლო და მკურნალია აქაური ნოტიო ჰავა გულ-სუსტი და ჭლექიანი ავათმყოფებისთვის; თუ ჭლექიანმა დროზე უშველა თავს, ე. ი., სანამ სენი მეტად გაუძლიერდებოდეს და ფილტვი სრულიად გაუფუჭდებოდეს, მოასწრო ფოთში მისვლა და იქაური ჰაერით კარგი ხანი ისუნთქა, ის განთავისუფლდება თავის სენისაგან. ასე ამბობენ ისინი, რომელთაც თავის თავზე გამოუცდიათ აქაური ჰაერის მოქმედება. ფოთის გასაშრობათ საჭიროა რიონის ნაპირის დაგუბვა და ამაღლება, მთელი ქალაქის სივრცეზე დიდძალი ქვიშის მოყრა და რუების გაყვანა. რასაკვირველია, ეს დიდს ხარჯს ითხოვს, მაგრამ ქალაქს ექნება საშუალება ამ აუცილებელ საჭიროებისათვის, თუ ხეირიანს თავდარიგს დაიჭერენ. რიონის ნაპირების გამაგრება კიდევაც დაუწყიათ, მაგრამ როგორღაც ნელა და სუსტად მიდის საქმე.

თავისი სხვა და სხვა ხალხებისგან შემდგარი მცხოვრებლებით ფოთს დღესვე აჩნია კოსმოპოლიტური სახე და ხასიათი, და მომავალში ხომ ის, ამ მხრით, სრულიად ოდესას დაემსგავსება. ქართველი ხალხისაგან აქ საკმაოდ ბევრნი არიან მხოლოდ მეგრელები, რომელთაც აქვსთ აქ საკუთარი ადგილები, სახლები და ვაჭრობა; გურულები, იმერლები და სხვა ქართველები, გარდა სამიოდე ვაჭრისა, აქ თითქმის არ სჩანან. საზოგადოდ ხომ შენიშნულია და ცხადი დასანახავია, რომ ქართველებში მეგრელები ყველაზე უფრო იჩენენ ნიჭს და თავიანობას ალებ-მიცემაში და ფულის შეძენაში; ამის გამო იმათ, როგორც უფრო ხელ-გამოღებულს და ნიჭიერს ხალხს, მომავალში უკეთესი კეთილ-მდგომარეობა მიელის, ვინემ სხვა ქართველებს. როდესაც საუბარში ერთს ფოთში მცხოვრებ მეგრელთან სხვათა შორის ამ საგანს შევეხე, მან მითხრა: „დიაღ, ჩვენ ხალისი, მონდომება საკმაოდ გვაქვსო და საქმეს გვარიანად წავიყვანთ, რომ ერთი დიდი დაბრკოლება არ იყოსო: ჩვენ ცოდნა გვაკლიაო. დიდებს რაღა გვეშველება, თორემ შვილების განათლებაზე, რაც გაგვევა, ვცდილობთ და ვეცდებითო“. ეს ხომ სხვაა, მაგრამ გაუნათლებლობა, უმეცრება, მარტო მეგრელების კი არა საზოგადოდ, ქართველების თავი ნაკლულევანება და სენი არის; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ყველანი ერთნაირად არ გრძნობენ ამას და არ ცდილობენ, შეძლების დაგვარად, ამ ნაკლულევანების მოსპობას. ამ მხრითაც მეგრელებს, ყველა ქართველებზე თუ არა, უმეტეს ნაწილზე კი უპირატესობა აქვსთ.

ფოთს დიდი როლი და კარგი ბედი მოელის მომავალში. რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას თფილისთან, მერმე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და, შესაძლებელია, ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და ალებ-მიცემა ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის, და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა; იგი შეიქნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი, იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც. მხოლოთ ბათუმს, ძველს საქართველოს ქალაქს, თავისი კარგი მდებარეობით, თავისი ბუნებითი მშვენიერი ბოლოზით, შეეძლო ამ მხრით ფოთის მეტოქე გამხდარიყო, მაგრამ, სანამ ის ოსმალეთის ხელშია, ვერაოდეს ვერ შეიქნება ფოთის საშიშ მოპირდაპირედ, ვერ დაამცირებს მისს მნიშვნელობას.

აქ უნებლიეთ წარმოგვიდგება კითხვა: როდესაც ფოთი დიდი სავაჭრო ქალაქი შეიქნება და მისი საშუალებით ევროპასა და აზიას შუა დიდი ალებ-მიცემა გაიმართება, რა მონაწილეობას მიიღებს ამაში ჩვენი ქვეყანა, როგორი გავლენა ექნება ამას ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და კეთილ-მდგომარეობაზე—კარგი თუ ცუდი? პირველი შეხედვით, უკანასკნელი კითხვა ახირებულია: უეჭველად—იფიქრებს კაცი—კარგი გავლენა უნდა ექნესო და არას შემთხვევაში ცუდი. თუმც ეს მართალია, მაგრამ ვინც კარგათ დაფიქრდება და დააკვირდება საქმეს, ის სხვა მხრესაც დაინახავს ჩვენი ხალხის მომავალში. როდესაც ორს სხვა და სხვა ქვეყნებს და ხალხებს შორის მისვლა-მოსვლა და ალებმიცემა გაიმართება, თუ რომ განათლების და კულტურის მხრით დიდი განსხვავება აქვსთ ამათ ერთს მეორისაგან, მაშინ ძალიან ადვილი და ხშირად აუცილებელი საქმეა—ექსპლოატაცია, ანუ უმოწყალოთ სარგებლობა, ღარიბება დაბალი კულტურის ხალხისა მაღალ კულტურის ხალხისაგან. ეს ხომ დიდად სამწუხარო მოვლენაა; ჭეშმარიტი კაცობრიული შეხედვით ეს ასრე არ უნდა იყოს; მაგრამ რა გაეწყობა, თუ ასრე მისდევს ახლანდელს სოციალურს წყობილებას და ხალხების ურთიერთშორის დამოკიდებულებას, თუ ეს დამოკიდებულება და კავშირი დამყარებულნი არიან მხოლოდ ვაჭრულს ანგარიშზე და არა იდეალურს და ჰუმანურს საფუძველზე; რა გაეწყობა, თუ ხალხების ცხოვრებაში, როგორც მთელს (ორგანულს) ბუნებაში, მოქმედობს ერთი და იგივე „ბრძოლა არსებობისათვის“, რომელიც გამარჯვებას აძლევს მხოლოდ მათ, ვისაც ღონე, ხერხი, ცოდნა, გამბედაობა აქვსთ და ჭკუით იმორჩილებს ულონოებს! დიახ, ეს სამწუხაროა; მაგრამ აქ გულჩვილობით, ოხვრით და თავდაბლობით ვერასგაარიგებ: აქ ხერხის და ცოდნის მოპირდაპირედ ხერხი და ცოდნაა საჭირო, თუ არა და დაღუპული ხარ. დიე, მიაქციონ ყურადღება ამ ბუნების ულმობელ კანონზე და კიდევ იმ პოლიტიკური ეკონომიის კანონზე, რომელიც გამოიხატევის ორს სიტყვაში: „მოთხოვნილება და წინადადება“,—მათ, რომელნიც მეტის-მეტ ერთგულად მისდევენ ფულის შეძენას, და თუ მათთვის საჭიროა, რომ თეორეტიულათ გაამართლონ თავისი მოქმედება, აი, ეს ორი კანონი ბუნებისა და პოლიტიკური ეკონომიისა გაამართლებს და ანუგეშებს მათ.—წარმოვიდგინოთ, რომ იმ ორს ქვეყნებთაგან, რომელთაც ერთმანეთ შორის ალებ-მიცემა გამართეს, ერთში განათლება ძლიერ დაბლა სდგას, ტეხნიკური ცოდნა, ქარხნები და ფაბრიკები სრულებით არ არის, ხალხი მისდევს მხოლოდ დაბალ სასოფლო მეურნეობას და მონაგრობას; მეორეში კი ყველა გვარი ცოდნა და ხელობა მაღლა სდგას. ამ შემთხვევაში პირველი ქვეყანა მეორეს აძლევს დაბალ ფასად, ხშირად თითქმის მუქთად, თავის მეურნეობის ნაწარმოებს, სხვა და სხვა მასალებს, მაგ. ხეს, ლითონს, მატყლს, სელს, ტყავს, აბრეშუმს და სხვ., რომელთაგან თვითონ საჭირო ნივთების გაკეთება არ შეუძლია; მერმე ამ მასალებისაგან მომზადებულს ქარხნებში და ფაბრიკებში ნივთებს ყიდულობს ათ და ოც წილ ფასად. რასაკვირველია, ამისთანა დამოკიდებულებისაგან ეს ქვეყანა თან და თან ღარიბდება მით უმეტეს მაშინ, თუ იმაში დაბალი სასოფლო მეურნეობაც ცუდს მდგომარეობაშია; ამ შემთხვევაში საქმე ბოლოს იმით თავდება, რომ მის მიწა-წყალს უპატრონდებიან უფრო მოხერხებულები, რომელთაც, თავისი ფერმის, ცოდნის და ხელობის საშუალობით, მისი ხეირიანად სარგებლობა შეუძლიათ; ადგილობრივნი მცხოვრებნი უცხო ქვეყნიდან მოსულების უბრალო მუშად და ბატრაკებად ხდებიან, და ამ გვარად, ბოლოს ამ გვარი ხალხი პროლეტარიელების ხალხად ხდება. ნუ თუ ვინმე იტყვის, რომ მე უკიდურესი და გადიდებული შეხედულობით ვუცქერი საქმეს, რომ ვსთქვა, რომ ამ გვარს მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი. ჩვენ ხალხში ძალიან ნაკლებათ არის გავრცელებული განათლება და ტეხნიკური ცოდნა, დაბალი სასოფლო მეურნეობა და მონაგრობაც თვით დაცემულს მდგომარეობაში არიან. ეს ხომ არავისთვის ახალი ამბავი არ არის. წარმოიდგინეთ შემდგომი სამწუხარო ფაქტი: ფოთში,

სიმინდს და ღომს გარდა, ყოველ გვარი სარჩო, ხორაგი, პურიდგან და ქართოფილიდგან დაწყებული ბოსტნეულ—წვანილამდის, რუსეთიდგან და ოსმალეთიდგან მოაქვსთ, მაშინ როდესაც სამეგრელო და გურია ფოთს ზედვე აკრავს. ნუ თუ ამ მხარეებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ფოთი უბრალო ხორაგით მაინც? ალბათ არ შეუძლიათ. რატომ? მიტომ რომ გადამეტებული, გასასყიდი ხორაგი ნაკლებათ აქვსთ, და კიდევაც რომ ყველაფერი ბლომათ ჰქონდესთ, უგზობის გამო, მოტანა უჭირთ ასე, რომ ყირიმიდგან და ოსმალეთიდგან, რამოდენიმე ასი ვერსის სიშორიდგან, უფრო ადვილია ყვალაფრის მოტანა, ვინემ 20—40 ვერსზე მდებარე სამეგრელოს და გურიის სოფლებიდგან.—ცოტას შესძინენ ჩვენ ქვეყანას რკინის გზა და დიდი სავაჭრო ქალაქი, სანამ სოფლები არ იქნებიან მათთან შეერთებულნი რიგიანი გზებით და სანამ მეურნეობა და მოწაგრობა ასე დაცემულს მდგომარეობაში იქნება. სანუგეშო ხვედრი არს მოელის მას მომაველში, თუ ჩვენს უმეცრებას, თავ-გამოუდებლობას, აპატიურ მდგომარეობას ბოლო არ მოეღო. ცოდნა და შრომა, დაუღალავი, პატიოსანი შრომა—აი, ერთად-ერთი სახსარი ხალხის კეთილ-მდგომარეობისა.....

მე წამოვედი ფოთიდგან რკინის გზით. მომბეზრებელი ფიქრები მიტრიალებდენ თავში, დავყურებდი რა იმ საშინელს კონტრასტს, რომელსაც წარმოადგენდენ ერთის მხრით ნაწარმოები დიდი ცოდნის და ხელოვნებისა—რკინის გზა, მეორის მხრით გაველანებული, გაპარტახტებული მიწა-ადგილები, სოფლები, ქოხები და მათი მცხოვრებლები. ესენი რაღაც გაოცებით და შიშით პირ დაღებულნი შეჰყურებდენ უცნაურ მანქანებას, რომელიც თავის თავად, უცხენოდ, მიაქროლებდა ოცამდის მძიმედ დატვირთულს ვაგონებს,—და ზოგნი ქუდს იხდიდნენ და კრძალვით მდაბლად თავს უკრავდენ. ჩემთან იჯდა სხვათა შორის ერთი შორი ქვეყნიდან მოსული, რომელსაც ამის მეტად საქართველო არ ენახა. ის გაოცებით ამბობდა: როგორი მდიდარი ბუნებაა და რა ღარიბი ხალხი! რა უხეირო კულტურა (შემუშავება) !......

დაღონებული, შთაბეჭდილებით დამძიმებული წამოვედი ქუთაისში ზეგუთიდგან *), სადაც ლოკომოტიკმა მოგვიყვანა.....

N N

ქუთაისი, აპრილის 8, 1871 წ.

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ: „ჩვენ გვაცნობებენ, რომ სამხედრო სამინისტროს მოუხდენია განკარგულება, რომ ამ შემოდგომაზე ერთს შავი ზღვის პორტში უნდა ააშენონ 100 (ზარბაზნის) არტილერიის პარკი, იმისთვის რომ კავკაზიის მხარე კარგათ იყოს დაცული.

# რუსეთი

ნიკოლაევიდამ იწერებიან „ნოვოროსსის ტელეგრაფში“, რომ მმართებლობას ათი ახალი ჯავშნიანი ხომალდი შეუძენია შავი ზღვის ფლოტის შესამატებლათო.

* * *

ოდესაში ურიებსა და მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს საშინელი ჩხუბი მოსვლიათ 29 და 30 მარტს. აი რას სწერენ ამაზე „მმართებლობის მოამბეში“: „თითქმის ყოველ წელიწადს, აღდგომას, ატყდებოდა ხოლმე ოდესაში ჩხუბი ბერძნებსა და ურიებს შუა, მაგრამ დღემდი ეს ჩხუბი ყოველთვის პოლიციის საშუალობით მოისპობოდა. წელს კი უფრო გაცხარებული ჩხუბი იყო, ასე რომ ჯარს უნდა გაეზავებინა მაჩხუბრები. მარტის 29 რამდონიმე ურიების სახლების და სინაგოგის ფანჯრები ჩაამტვრიეს და გაცარცვეს ზოგიერთი ურიების დუქნები. პოლიციამ რომ ვერა გააწყორა, ამ დღეს ჯარმა დაამშვიდობა არეულობა. მეორე დღეს, 30 მარტს, ბერძნებს მიემხრენ რუსები და საშინელი არეულება შეიქნა: ბევრი დუქნები და მაღაზიები ურიებისა გაცარცვეს ქალაქში. გაბრაზებული ხალხის დასამშვიდებლათ ჯარი იძულებული იყო ცივი იარაღი (შტიკები) ეხმარა; რამოდენიმე კაცი დაიჭრა, მაგრამ მოკვლით კი ამდღეს არავინ არ მოუკლავთ. მესამე დღეს 31 მარტს, ზოგიერთ ქალაქის ნაწილში კიდევ ატყდა არეულობა, მაგრამ ჯარის საშუალობით, ისევ დამშვიდდა, ასე რომ სალამოს ოდესსა სრულიად დამშვიდებული იყო. ახლა ქალაქის ზოგიერთს უბნებში ჯარი დგას. ამ საქმეზე გამოძიებაა დანიშნული. ათასი კაცი დატყვევებულია არეულობის მოხდენისათვის.

* * *

ხოლერის ავათმყოფობა აი როგორ მიდის პეტრბურღში: ამ ავათმყოფობის გაჩენიდამ, 17 აგვისტოდამ, 30 მარტამდი გამხდარაავათ—2687 და 1397 ქალი; მორჩენილა—1,118 კაცი და 595 ქალი, მომკვდარა—1,125 კაცი და 527 ქალი; სულ 1,652.

მოსკოვში ბევრათ უფრო სუსტი ზიანი მიუცია ამ საშინელ ავათმყოფობას და დღემდი—72 სულის მეტი არ მოუკლავს; ამ რიცხვში 51 კაცი მოკლა და 21 ქალი.

* * *

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდლია, რომ პეტერბურღის პოლიციის უფროსმა—ტრეპოვმა—გახსნა მუშა-ხალხისთვის სასადილო სახლები სხვა და სხვა ქალაქის ნაწილში, სადაც ორ შაურათ იმათ შეუძლიანთ ძალიან კარგი და მარგებელი საჭმელი სჭამონო. ეს კეთილი განკარგულება უფ. ობერპოლიცმეისტერს იმისთვის მოუხდენია, რომ ამ ხოლერობის დროს უმეტეს ნაწილათ მუშა-ხალხი ცუდი საჭმელისაგინ ხდება ავათ. სულ 700 სადილი კეთდება თურმე ყოველდღე ამ საკუხმისტროებში.

ამას გარდა ამ ჟამად პეტერბურღშივე დაწესებულა საზოგადოება, რომლის მიზანი ის არის, რომ გამართოს ამ ქალაქში იაფი საკუხმისტროები, სადაც 18 კაპეიკათ ყველას შეუძლია ორი თავი საჭმელი სჭამოს. ზედმხედველობა ამ საკუხმისტროებში ექნებათ ქალებს, რომელნიც საზოგადოების წევრები არიან.

ამ ჟამად პეტერბურღში დღეში 70—90 ხდება თურმე ავათ ხოლერით. მარტის 25-ს ხოლერით ავათმყოფი სულ 868 კაცი იწვა ლოსპიტლებში.

* * *

„პეტ. უწყებებს“ ოდესიდამ მოუვიდა ტელეგრამმა, რომელშიაც სწერია, რომ იქ ვაჭრობა შეჩერდაო და ბანკირი დ. რაფალოვიჩის (ურიის) სახლი გაცარცვესო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

არც ვერსალის მმართებლობას და არც პარიჟის კომუნას არ უნდოდათ, რომ იმათი უთანხმოება სისხლის ღვრით გათავებულიყო; ორივე მხრით იყო მორიგების სურვილი, მაგრამ ერთის მხრით ტიერის მმართებლობამ არ მისცა პარიჟს ის უფლებები, რომელსაც კომუნა თხოულობდა და მეორეს მხრით არც კომუნა დათანხმდა იმ პირობებზე, რომლებიც ტიერმა შეაძლია. კომუნა და პარიჟის წარმომადგენლები თხოულობდენ: ა) რესპუბლიკის მკვიდრათ დაწესებას; ბ) პარიჟს უნდა მისცემოდა უფლება თავის ამორჩეულ პირებისთვის ჩაებარა პოლიციის, ფინანსების, სახალხო განათლების და სარწმუნოების შესახები საქმეები, გ) საზოგადო მშვიდობიანობის დაცვა. მარტო ნაციონალურ გვარდიელებს უნდა ჰქონდეს მინდობილიო და თვითონ გვარდიამ უნდა ამოირჩიოს თავის უფროსებიო. ვერსალის ნაციონალური კრება თითქმის არცერთ ამ პირობებზე არ დაეთანხმა აჯანყებულებს და აქედამ წარმოსდგა ის განხეთქილება და ბრძოლა, რომელიც დღესაც არ გათავებულა და ვინ იცის, როდის და რითი გათავდება. ამბობენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკისა და შვეიცარიის ელჩები იყვნენ ტიერთან და კომუნასთან მორიგება უნდოდათო. ტიერს უთქვამს იმათთვის, რომ ის დაუთანხმება კომუნას ყველა მორიგების პირობებზე, თუ ეს პირობები კანონიერნი და ნაციონალური კრების დამამცირებელნი არ იქნებიანო. ზემოხსენებულ ელჩებს ამერიკელი ღენერლის-შერიდანისთვის—მიუნდვია პარიჟის კომუნასთან მოლაპარეკება. მაგრამ, როგორც სჩანს, ამ მოლაპარაკებისგან არაფერი არ გამოსულა, რადგან ამის შემდეგ ვერსალის და კომუნის ჯარებს შუა რამდონჯერმე მოხდა შეტაკება.

— მარტის 28 (16) ვერსალში შეკრებილან მონარხიის მომხრე დეპუტატები ნაციონალური კრებისა; ამათ რიცხვში ყოფილან ორლეანისტები, ბურბონისტები და იმპერიალისტები (ნაპოლეონის მომხრეები) და ერთ ხმით გადაუწყვეტიათ, რომ ვეცადოთ საფრანგეთში მონარხია დავადგინოთო. ამბობენ, რომ ყველანი დათანხმებულან იმაზე, რომ პირველათ გრაფ შამბორი-ბურბონის დინასტიისა—უნდა ამოვირჩიოთ საფრანგეთის ხელმწიფეთაო.—ამის შემდეგ ადვილათ გასაგებია—რისთვის არის ამ ჟამად არეულობა პარიჟში და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქებში და ნამდვილი რესპუბლიკელები რისთვის არიან უკმაყოფილოთ ახლანდელ ვერსალის მმართებლობაზე.—ვერსალის მმართებლობამ გამოაცხადა, რომ ყოველი მოქალაქე, რომელიც აჯანყებულების მხარეს დაიჭერს და დაიარაღებული ჩაუვარდება მმართებლობის ჯარებს ხელში, სასტიკათ დაისჯებაო. პარიჟის კომუნამ თავის მხრით გამოსცა დეკრეტი, რომელშიაც აცხადებს, რომ ერთი ჩვენი მომხრის დახვრეტისათვის ჩვენ ორს თქვენ მომხრეს დავხვრეტავთო. კომუნას დაუტუსაღებია პარიჟში ბევრი გამოჩენილი პირები ვერსალის მმართებლობის მომხრებთაგანი, სხვათა შორის პარიჟის არხიეპისკოპოსი, და მზეველათ ყავს ისინი. მეორე დეკრეტით კომუნამ დადვა კანონათ, რომ დღეის შემდეგ ხალხს მუქთათ უნდა მიეცეს განათლებაო და ამას გარდა შკოლებში სამღვთო წერილის სწავლა აღარ იქნებაო.

— მმართებლობის ჯარის უფროსი მარსელში შემდეგ ამბავს იწერება ამ ქალაქიდამ: „მარტის 23 (4 აპრ.) ჩვენ დავეცით ქალაქს, რომელიც ინსურგენტებმა ჩაიგდეს ხელში, და მთელი დღის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა გვქონდა პრეფექტურის გარშემო. ბოლოს, სალამოს 7 საათზე, ჩვენ ავიღეთ პრეფექტურა და მასთან მთელი ქალაქიც. დატუსაღებული პირები გავათავისუფლეთ და 500 ინსურგენტი დავიჭირეთ, დანარჩენი გაიქცნენ ქალაქიდამ. ამ შეტაკების დროს ბევრი დაიხოცა. ამ ჟამად მარსელში მშვიდობიანობაა“.

— ტიერს ჰკითხეს ნაციონალურს კრებაში—როგორ ასრულებს თავის მოვალეობას (ინსურგენტების დამშვიდებას) ჩვენი ჯარიო. ტიერმა უპასუხა თურმე: „ამ ჟამად ჩვენი ჯარი სამაგალითოთ მოქმედებს; საფრანგეთმა ბოლოს მონახა თავის შესაფერი ჯარიო.“ ამაზე ერთი რესპუბლიკური გაზეთი ამბობს: „ტიერისთანა კაცები თავის თანამოძმეების დასახოცავათ ყოველთვის მონახვენ კაცებს, მაგრამ, როცა ნამდვილი მტერი მიადგება იმათ, მაშინ კი უკან ისწევენ და მუდამ დამარცხებული არიან.“

— როშფორმა დაბეჭდა თავის გაზეთში—„Mot d'ordre“—სტატია, რომელშიაც ამბობს, რომ ახლანდელი ნაციონალური კრება უნდა დაიშალოსო და ყველა [illegible] და ხალოტრანგო ეკკლესიების და მონასტრების ქონება უნდა გაიყიდოსო.

— პარიჟის კომუნამ შემდეგი გადაწყვეტილება დასდვა: „მივიღებთ რა მხედველობაში, რომ დღემდი სხვა და სხვა სამსახურის ადგილებს ყველა ნიჭიერი და უნიჭო დაეძებდა მხოლოთ იმისთვის, რომ დიდი თანამდებობის პირებს ჯამაგირიც დიდი ეძლეოდათ; ამას გარდა, მივიღებთ რა კიდევ მხედველობაში იმას, რომ ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ უნდა იყვნენ სხვა და სხვა ორდენები, ჩინები და დიდი ჯამაგირები—ჩვენ ვაცხადებთ, რომ დღეის შემდეგ ორი ათას მანეთს ზევით არავის არ მიეცემა ჯამაგირი, რაც უნდა დიდი თანამდებობა ეჭიროს.“

— ამბობენ, რომ ახლანდელი პარიჟის რევოლიუციის პლანები ლონდონში დაუწყვიათ მარქსს, ასსის, ბენტინისა და დარმოტს. ყველა ესენი არიან სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი წევრები ლონდონის ხალხთა-შორისი მუშების ლიგისა. ამ ლიგის მიტინგებში, როცა პარიჟში რევოლიუციის მოხდენაზე ყოფილა ლაპარაკი, დიდი მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ბლანკის.

—ვერსალიდამ იწერებიან, ვითომც ბისმარკს მიეწეროს ტიერისთვის, რომ თუ 14 აპრილამდი არ დაამშვიდეთ პარიჟის არეულება, მაშინ გერმანიის ჯარი ისევ დაბრუნდება პარიჟშიო და დარჩება იქ, სანამ საფრანგეთში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდებაო. ამას ვიქთ იმიტომ, რომ მორიგების პირობების ასრულება შესაძლებელი იქნესო.

— პარიჟის გაზეთი „დროება“, რომელიც ზომიერი რესპუბლიკელების მომხრეა, ამბობს, რომ მშვიდობიანობისათვის საჭიროა, რომ ახლანდელი ნაციონალური კრებაც და კომუნაც დათხოვნილი იქნესო; ნაციონალურმა კრებამ თავის მხრით ამოირჩიოს ტიერი და პარიჟმა—ლუი ბლანიო და ამ ორმა სანდო პირმა უნდა დაადგინონ ახალი კინონები ნაციონალური გვარდიის და პარიჟის მოთხოვნილებების შესახებო. შემდეგ ახალი ნაციონალური კრება უნდა ამოირჩიოსო და საფრანგეთის უზენაესი უფლება იმას უნდა მიენდოსო.

— ერთი ინგლისური გაზეთი იწერება, რომ ნაპოლეონის მინისტრები—გრაფ პალიკაო და პერსინი ამ ჟამათ ვერსალში არიან და იმათ კაცი ხელს არ ახლებსო, თუმცა ნაციონალური კრების გადაწყვეტილებით ყველა ნაპოლეონის მინისტრები სამართალში არიან მიცემულნიო.

— ხორაგი გაძვირებულა პარიჟში, რადგანც ეშინიანთ, რომ ვერსალის ჯარი ისე შემოერტყმება ამ ქალაქს და შეუკრავს გზებს, როგორც ამას წინეთ ნემცები შემოერტყენ. ამ შიშის გამო, ყველა სცდილობს თურმე, რომ რაც შეიძლება ბევრი ხორაგი იყიდოს, რომ შემდეგში არ შემოაკლდეს.

— ვერსალის ნაციონალურს კრებაში აპრილის რვას ყოფილა მოლაპარაკება იმაზე—თუ ვინ უნდა ამოირჩიოს ქალაქში და სოფლებში (კომუნებში) მერი ანამ ქალაქების და კომუნების საზოგადო საქმეების გამგებელი პირიო. პირველათ გადაწყვიტეს, რომ ყველა ქალაქებში და კომუნებში მერი მუნიციპალიტეტმა ან მცხოვრებლებისაგან ამორჩეულმა პირებმა უნდა ამოირჩიოსო. შემდეგ ტიერმა ბევრი ილაპარაკა ამ კანონის წინააღმდეგ; ის ამტკიცებდა, რომ მერებს მმართებლობა უნდა ნიშნავდესო. იმან წარმოსთქვა ის, რასაც ხშირათ ნაპოლეონი იტყოდა ხოლმე, როდესაც ბურჟუაზიის შეშინება უნდოდა რესპუბლიკელების ხსენებით: „თქვენ გსურთ, რომ ჩვენ მშვიდობიანობა დავიცვათ და იმ უფლებას კი არ გვაძლევთ, რომელიც იმისათვის საჭიროა.“ ბოლოს გადაწყვიტეს, რომ იმ ქალაქებში, რომლებშიაც 20,000-ზე მომე-

---

*) ზეგუთი, სადაც რკინის გზის ხიდი გადის რიონზე და სადაც სტანცია უნდა აშენდეს, ხუთს ვერსზეა ქუთაისიდგან.

ტებული მცხოვრებლებია, მუნიციპალიტეტმა კი არა თვითონ მმართებლობამ უნდა დანიშნოს მერიო.

— ერთი შეტაკების დროს, 13 აპრილს, კომუნის ჯარს 2,000 ვერსალის სალდათი დაუტუსაღებია, ამას ერთი ინგლისური კორრესპონდენტი იწერება ვერსალიდამ. რუსულს გაზეთებში დაბეჭდილი ტელეგრამმებიდამ ვტყობილობთ, რომ 15 (3) აპრილს ვერსალის ჯარი კიდევ დასცემია ვანვრის ფორტს, სადაც ინსურგენტები არიან გამაგრებულნი, მაგრამ დიდი ზიანით უკუუქცევიათ ისინი.

— ერთს ფრანცუზულ გაზეთში მოყვანილია მოკლე ბიოგრაფიული აღწერა ზოგიერთი კომუნის წევრებისა, რომლიდგანაც ვტყობილობთ, რომ კომუნის პრეზიდენტი — ლეფრანსე ადრე მასწავლებელი ყოფილა, პენდი — დურგალი, ამურუ — შლიაპის მკეთებელი, ვარლენ — ყდის მკეთებელი, დრერი — მეწაღე. უკანასკნელი ცნობები არის, რომ ასსი, (ცენტრალური კამიტეტის პრეზიდენტი), დელკლეზე (კომუნის სამხედრო მინისტრი) და ბერჟერე (კომუნის ღენერალი) დაუტუსაღებიათ კომუნის განკარგულებით.

— სენის დეპარტამენტის ცხრა დეპუტატმა, რომელთ რიცხვში არიან: ლუი ბლანი, ედგარ კინე, ბრისსონ, ტირარ, ლანგლუა და სხ., გამოსცეს დეკლარაცია, რომელიც შეეხება ახლანდელ პარიჟის არეულობას. დეკლარაცია ჯერ პარიჟის ხალხს მიჰმართავს და ეუბნება იმათ, რომ არცერთ ნაციონალური კრების წევრს არ უთქვამს რესპუბლიკის წინაალმდეგი სიტყვაო და მაშასადამე მონარხიის დადგენის არ უნდა გეშინოდეთო; ამას გარდა დეკლარაციაში სწერია, რომ რესპუბლიკა ახლა მკვიდრათ არის საფრანგეთში დაფუძნებულიო და, თუ მოიშალა, იმ არეულობისაგან და უთანხმოებისაგან მოიშლებაო, რომელიც ამ ჟამად პარიჟში სუფევსო. შემდეგ პროკლამაცია მიჰმართავს მმართებლობას და ურჩევს იმას, რომ ეცადოს სისხლის დაუღვრელათ და მშვიდობიანათ გაათავოს ეს საქმე. „როგორც იქნება, მალე უნდა გავათავოთ ეს საშინელი ურთიერთ-შორისი ბრძოლა და უნდა მოვსპოთ ჩვენ, ფრანცუზებმა, ერთმანეთის სისხლის ღვრა“ — ასე ათავებს დეკლარაცია.

— ამ კვირის განმავლობაში ტელეგრამმებმა ვერსალის ჯარსა და აჯანყებულებს შუა რამდონიმე შეტაკების ამბავი მოგვიტანა. უველაზე გაცხარებული ბრძოლა ყოფილა 11 და 12 აპრილს (30 და 31 მარტს) ვანვრის და Uსსის (სამხრეთის) ფორტების წინ, რომელნიც ინსურგენტებს უჭირავთ. ამას გარდა ფედერალისტების ხელშია აგრეთვე მონ — რუჟისა და ბისეტრის ფორტები; ყველა ეს ფორტები ძალიან გაუმაგრებიათ აჯანყებულებს; იმათ ზარბაზნები და წამალიც ბლომათა აქვთ თურმე. 11 და 12 აპრ. რამდონჯერმე დასცემია მმართებლობის ჯარი ამ ფორტებს, რადგან იმათ თუ აიღებდენ, პარიჟიც უნდა დამორჩილებულიყო, მაგრამ ინსურგენტებს უკუუქცევიათ ისინი დიდის ზიანით. ამას გარდა გაცხარებული შეტაკება მოხდა რამდონმეჯერ სოფელ ნეილისთან, რომელიც ომისათვის ძალიან მოხერხებული ადგილია თურმე და რომელიც ინსურგენტებს აუღიათ და გაუმაგრებიათ.

### გერმანია

ბერლინში მოისპო, საშუალობის უქონლობის გამო, ერთი რესპუბლიკური გაზეთი — „Zukunft.“ ეს გაზეთი ოთხი წელიწადი გამოდიოდა და, როგორც იმის რედაქტორმა გამოაცხადა ახლა, ამ ხანის განმავლობაში არც ერთხელ არ ჰქონია იმდენი შემოსავალი, რომ ხარჯს ასვლოდა.

### ამ კვირის ტელეგრამმები

პ ა რ ი ჟ ი, 7 (19) აპრ. ნეილის ხიდთან გაცხარებული ბრძოლაა.

— ვერსალის ჯარები ერთათ გროვდებიან. პარიჟზე დაცემას აპირებენ. ნემცებს უნდათ ამ არეულობის საქმეში გარევა.

ბ რ ი უ ს ე ლ ი, 8 (20) აპრ. 6-ს გაცხარებული ბრძოლა იყო ნეილისთან. ფედერალისტები დაამარცხეს. დომბროვსკი დაჭრეს.

პ ა რ ი ჟ ი, 12 (24) აპრ. ვერსალის ჯარმა შარანტონი დაიჭირა. ნეილის ამაგრებენ ბარიკადებით.

ვ ე ნ ა. აქ მოვიდა ამბავი, რომ რომის პაპი ძალიან ავათ არის.

პ ა რ ი ჟ ი, 13 აპრ. ზარბაზნების სროლა შეჩერდა. მმართებლობის ჯარსა და აჯანყებულებს შუა მოხდა მორიგება ერთი დღით.

— პრუსიელების მოთხოვნილებით, ვენსენის ფორტიდამ ზარბაზნები აიღეს.

— ღენერალმა დიუკრომ დაეთხოვა სამსახურს.

### რა არის კომმუნა?

უკანასკნელ გაზეთებში მკითხველს ხშირათ მოუხდებოდა წაკითხვა: „პარიჟში კომმუნა დაარსდაო“, „პარიჟელებმა ფედერაცია გამოაცხადესო.“ ამ სიტყვების ახსნა მით უფრო საჭიროა, რომ იმათ სხვა ნაირი მნიშვნელობაც აქვთ, რომელსაც მკითხველის დაბნევა ადვილათ შეუძლია.

ჯერ უნდა ვთქვათ, რომ ის პირები, რომელნიც შარშან, პარიჟის შემოკვრის დროს კომმუნის დაარსებას თხოულობდენ, ან რომლებმაც წელს კიდეც გამოაცხადეს კომმუნა, სრულებითაც არ არიან იმ სწავლის მოაზრენი, რომელსაც კ ო მ მ უ ნ ი ზ მ ს ეძახიან. როგორც მკითხველს გაგონილი ექნება, ეს უკანასკნელი უტოპიური სწავლა იმაში მდგომარეობს, რომ ყველას ქონება და სიმდიდრე მარტო მთელ ხალხს, მთელ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდესო, რომელიც თითოეულ თავის წევრს უნდა აძლევდეს ყველაფერს, რაც კი მას დასჭირდება სიცოცხლეში, და სამაგიეროთ მისგან ყველაფერს იღებდეს, რისიც გაკეთება ან მიცემა იმას შეეძლება. ამ სწავლის აზრით ყველას საჭიროებაზე უნდა ზრუნავდეს მთელი საზოგადოება ერთათ, თავისი წარმომადგენელი მართებლობის ხელით, რომელიც თითოეულ პირს მოქმედებას, მუშაობას და მოთხოვნილობის დაკმაყოფილებას უნდა აძლევდეს. — სულ სხვანაირი აზრი და დანიშნულება აქვს იმ „კომმუნას“, რომელიც ეხლა პარიჟში დაარსებულა. ეს კომმუნა მარტო მთელი ქალაქის, პარიჟის, მმართებლობის სახელია, როგორც ჩვენში ამბობენ: სოფელი, დაბა, ქალაქი, ისეთი მმართებლობის, რომელსაც სახეში აქვს მარტო სოფლის, ქალაქის ინტერესები. უწინდელ დროში, და ეხლაც, საფრანგეთში თითქმის ყოველ-სოფელს თავისი საკუთარი, ამორჩეული მმართებლობა ყავს, რომელსაც სახელათ მუნიციპალიტეტი, კომმუნა ჰქვია, და რომელსაც სოფლის პოლიცია აბარია ხელში; ამ მუნიციპალიტეტის, კომმუნის თავი მერი არის, როგორც Uფილისში მაგალითად, городовое управленіе და городской голова არიან.

წარსული საუკუნის დამლევს, როცა საფრანგეთში დიდი რევოლიუცია იყო, პარიჟშიაც დაარსდა ამორჩეული ქალაქის მმართველობა, რომელსაც სახელათ კ ო მ მ უ ნ ა ერქვა და რომელმაც საკვირველი გამბედაობა და ძალა გამოიჩინა საფრანგეთის დაცვაში და ამაღლებაში. აი, ამ კომმუნის მიმბაძაობით თხოულობდენ შარშან პარიჟელები კომმუნის დაარსებას, და ამ მიმბაძაობით დააარსეს იმათ კომმუნა წლეულს. მაგრამ ეს კომმუნა სრულიადაც არ შეეხება კერძო პირების ქონებას და მთელი სახელმწიფოს მმართვას; ის არც სიმდიდრის და ქონების შეგროვებას აპირებს სახელმწიფოს ხელში, არც სახელმწიფოს ავალებს კერძო პირების რჩენას, აღზრდას და წინმძღომელობას.

რამსიდე უშველებელი განსხვავებაა „კ ო მ უ ნ ი ს ტ ე ბ ს“ და „კ ო მ მ უ ნ ი ს“ მ ო მ ხ რ ე ე ბ ს შუა, დაგვანახებს ჩვენ ამ უკანასკნელების „ფ ე დ ე რ ა ლ ი ზ მ ი“, ესე იგი ის სწავლა, რომლის აზრით თითოეულ კერძო ქალაქს, თითოეულ მაზრას იმოდენა თავისუფლება და თ ვ ი თ-ა რ ს ე ბ ო ბ ა უნდა ჰქონდეს, რომ თავისებურათ, თავის ნებით მთელი თავისი ცხოვრების გამართვა შეეძლოს, და ცენტრალურ მმართებლობას მათზე ძალა და გავლენა არ ჰქონდეს. ეს მიმართულება, როგორც მთელი ისტორია ამტკიცებს, განსაკუთრებით შეერთებული შტატების და შვეიცარიისა, მეტის მეტათ მავნებელია კაცობრიობის წარმატებისთვის, და ამ უკანასკნელ საუკუნოებში ყოველი წარმატება, რომელიც ამ ორ გამოჩენილ რესპუბლიკებში მოხდა, მარტო იმით მოხდა, რომ ცენტრალურმა მმართვამ ცოტ-ცოტათ შეიძინა ძველ დროში დაკარგული ძალა კერძო მაზრებზე. საფრანგეთში ფედერალურმა მიმართულებამ მარტო იმისთვის იშოვა მომხრეები და გავლენა, რომ ნაპოლეონის მმართებლობა, როგორც ზოგიერთი უწინდელი მმართებლობაები, მეტის მეტათ ერეოდენ კერძო მაზრების და სოფლების ცხოვრებაში, მაშინაც, როცა საქმის გარემოება და მნიშვნელობა ამ გარევას არ თხოულობდა. და ეს წამდაუწუმი გარევა აბეზრებდა, აბრაზებდა კერძო სოფლებს და მაზრებს. ეხლა ამ გაბრაზებამ იქამდი მიაწია, რომ ბევრგან, მაგალითად ლიონში, მარსელში და სხვაგანაც, იმოდენა თვითარსებობის შოვნას ცდილობენ, რომ არცერთ პრეზიდენტს, არც ერთ ტიერს არ შეეძლოს შემდეგში მათ საქმეებში გარევა. მაგრამ ნაპოლეონებს და ტიერებს გარდა ქვეყანაზე ლინკოლნებიც მოიძებნებიან, და ამერიკის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ლინკოლნს და ამერიკის კონგრესს იმოდენა ძალა და გავლენა არ ჰქონდათ კერძო შტატებზე, რომ მათში თავისი გადაწყვეტილობით მონაობა მოესპოთ.

კომმუნისტების აზრით კი, რასაკვირველია, კერძო სოფელს და მაზრას, როგორც კერძო პირს, თვით-არსებობა და თავისი საკუთარი ქონება ცხოვრება არ უნდა ჰქონდეს; ის უნდა დამოკიდებული იყოს თავის აღმზრდელ და დამცველ საზოგადო მამულზე — მთელ სახელმწიფოზე.

# ვერა დმიტრიევას
## საქმე

(დასასრული)

როცა ხუთსავე ბრალდებულებს ჩვენება ჩამოართვეს, შემდეგ მოწმეების და ექსპერტების კითხვას შეუდგნენ. მოწმეები ორათ იყვნენ გაყოფილნი: ერთ განყოფილებას შეადგენდნენ ისინი, რომელნიც ქურდობის თაობაზე იყვნენ დაბარებულნი და მეორეს, რომელთაც დმიტრიევას მუცლის წახდენაზე იცოდნენ რამე. სულ ოცზე მეტი იყო მოწმე და იმათი ჩვენება თითქმის მთელ წიგნს შეადგენს. ამიტომ, უეჭველია, ყველა იმათ ჩვენებებს ვერ მოვიყვანთ, ადგილის უქონლობის გამო; მხოლოთ ზოგიერთ ისეთს ჩვენებებს მივაქცევთ ჩვენ ყურადღებას, რომელნიც უფრო შესანიშნავნი არიან და ამ დახლათული საქმის გამჟღავნებას დაეხმარენ.

მოწმეებთ რიცხვში იყო სხვათა შორის მოხუცებული და სუსტი გალიჩი-დმიტრიევას მამა; მაგრამ იმან თავიდამვე გამოაცხადა, რომ მე არა მსურს ჩვენებაო და, კანონის ძალით, ის იმ წამსვე გაანთავისუფლეს ჩვენების ჩამორთმევისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველათ ჰკითხეს ექიმს შლიტერს, რომელმანც შემდეგი აჩვენა: ხუთი თუ ექვსი წელიწადი იქნება, რაც მე ვერა დმიტრიევას ვიცნობ. 1867 წელს, ივნისში მე ვაქიმობდი იმას რიგის შეჩერებისაგან; იმან მკითხა, რომ ეს სამი თვეა რიგი არა მქონიაო და ორსულობის ნიშანი ხომ არ არის ესაო. მე გავსინჯე და უთხარი არა მეთქი. შემდეგ, სექტემბერში, მე მიმიწვიეს რიაზანში ერთ ავათმყოფთან. ორჯელ-სამჯერ ვიყავი მე ამ დროს დმიტრიევასთან. ერთხელ იმან შემომჩივლა, რომ ეს შვიდი თვეა რიგი არ მაქვსო და რავქნა, არ ვიციო. მე უთხარი, გამასინჯვინეთ თავი და შევატყობთ ორსულათ ხართ, თუ არა; დმიტრიევა არ დაწვა, ფეხზე მდგომარს აუწია კაბა და პერანგს გარედამ დაუწყე სინჯვა. მე შევატყე, რომ საშო გადიდებული იყო და მუცელშიაც რაღაც მაგარი ედვა. შემდეგ პერანგ ქვეშ შეუყავი ხელი და მუცელზე ყური დავადევი; მინდოდა ბავშვის ნძრევა და გულის ძგერა გამეგო. ამნაირათ გასინჯვის შემდეგ, მე უთხარი დმიტრიევას — ძალიან შესაძლებელია, რომ ორსულათ იყვეთ მეთქი. მერე მე წავედი მოსკოვს და ოქტომბრის დამდეგამდი აღარ ვყოფილვარ რიაზანში. კარიცკის საიდლამაც გაეგო, რომ მე რიაზანში ვიყავი და გამოეგზავნა კაცი — ვერა პავლოვნასთან მოდიო. წავედი. დმიტრიევამ მითხრა, რომ მე დღე-ნაკლული ყმაწვილი ვშობეო, საპოჟკოვი დამესწრო მშობიერობაზე და ახლა საშოში ანთება მაქვსო. მე მივეცი იმას ნერვების დასამშვიდებელი წამალი. ამის შემდეგ მე წავედი რიაზანიდამ და დმიტრიევა აღარ მინახავს. მე მახსოვს, დიუზინგმა მითხრა ერთხელ გაკვრით, რომ დმიტრიევა კარიცკისაგან არის ორსულათაო და საპოჟკოვი მუცლის წახდენას უპირობსო. მე ადრეც ვატყობდი, რომ დმიტრიევა და კარიცკი დაახლოებული მეგობრები იყვნენ.

დმიტრიევას სახლის-პატრონის ქალმა-ბ უ რ კ ო ვ ს კ ა ი ა მ — აჩვენა, რომ იმას ძალიან ხშირათ უნახავს კარიცკი თავის მდგმურთან. მხოლოთ ის, იმის ცოლი და ექიმები დაიარებოდნენ დმიტრიევასთანო.

მაიორმა დ მ ი ტ რ ი ე ვ მ ა (ვერას ქმარმა) აჩვენა:

— ჩემი ცოლისა და კარიცკის კავშირის ამბავი მე Uაროსლავში შევიტყე, 1867 წელს, და იმწამსვე წამოვედი რიაზანში; მოვედი აქა და გამოვეცხადე კარიცკის, როგორც უფროსს მკითხა: რისთვის მოხვედიო? მე უთხარი, მინდა ცოლშვილი ვნახო მეთქი. კარიცკიმ მიპასუხა ამაზე, რომ თქვენ თქვენი ყოფაქცევით არცხვენთ ყველა ქმრებსაო და გირჩევთ ნუ ეჩვენებით თქვენს ცოლს, თორემ უბედურება რამ მოხდებაო. — შვილების უნახავათ მაინც არ დავბრუნდები შინ, მეთქი, უთხარი მე. კარიცკი დამპირდა, შენ შვილებს გამოვიწეროო; დაჯდა სტოლთან, დასწერა წიგნი და გაგზავნა. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: ახლა წაბრძანდით და როცა დრო იქნება, დაგიბარებო. მეორე დღეს მივედი კარიცკისთან და ორი ჩემი ვაჟი იქ დამხვდა; საათ ნახევარი ვიყავი იმათთან და რაღაცაებზე ვლაპარაკობდი და შემდეგ ბაღში წავიყვანე ორივე. კარიცკი და ჩემი სიმამრი იქ იყვნენ და თვალყურს მადევნებდენ, რომ ცუდი არა მეთქვარა დედაზე ჩემი შვილებისთვის. ცოტახანს შემდეგ ჩვენ დაგვიძახეს სიუზმის საჭმელათ. ნასაუზმევს ჩემი შვილები სიმამრს უნდა წაეყვანა ისევ სოფელში, დედასთან.... მე ვთხოვე ჩემს სიმამრს — მაჩვენეთ ვერა პავლოვნა.... Uქნება მოვრიგდეთ მეთქი...

დმიტრიევმა ძლივს გამოთქვა უკანასნელი სიტყვები; ძლიერ შეწუხებული იყო და ცრემლების ნაკადული უხვათ მოსდიოდა თვალებიდამ; რამდენიმე მანუტის განმავლობაში მხოლოთ დმიტრიევის ქვითქვითით

ტირილი გაისმოდა სასამართლოს ზალაში.... ვერა პავლოვნა ამდროს მოაჯირს იქით იჯდა და თავი ძირს ჩაეღუნა ისე, რომ სახე არ უჩნდა.

ბოლოს დმიტრიევი ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ ისევ მტირალი ხმით დაიწყო:

— ჩემი სიმამრი კარგი მოხუცებულია: ის უთუოთ მაჩვენებდა ჩემ ცოლს და შევრიგდებოდით, მაგრამ იმ დროს, რასაც პარიცკი ეუბნებოდა, იმას ის სჯეროდა. პირველათ დამპირდა ერთად წავიდეთო, მერე კი მითხრა, რომ ჯერ მარტო წავალ სოფელშიო და იქიდამ მოგწერ წიგნსაო.... ახლა კი დავრწმუნდი ბეჯითად, რომ ჩემ ცოლსა და პარიცკის კავშირი ჰქონდათ ერთმანეთში....

დმიტრიევმა ველარ მოერია თავის თავს; იმას საშინლათ უცემდა გული და ბოლოს საშინელის გოდება-ტირილის ხმით წამოიძახა:

— ვერამ მიმატოვა... ის გამექცა მე...მაგრამ ამაში მარტო მე ვარ დამნაშავე... მე დამავიწყდა, თუ იმასაც ჰქონდა რამ დანაშაული... ვაპატიევე... და ახლა ხელახლავ ვხედავ ვერას... მაგრამ როგორ მდგომარეობაში?...

დმიტრიევი მოსხლეტილი დაეცა სკამზე, რომელიც პრისტავმა დაუდგა იმას. რამდონსამე ხანს მხოლოთ საშინელი, გულის შესაძრწუნებელი ტირილი გამოისმოდა სასამართლოს ზალაში.

— როდესაც ეს უბედურება შემთხვა, შემატყობინეს და იმ წამსვე წაველ ვერას სანახავათ. ბამომეძიებელმა იმის ნახვის ნება მომცა... და ათი წლის უნახაობის შემდეგ, მე ისევ ვიხილე ჩემი ვერა. მაგრამ სად?... საპყრობილეში! ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს. ვერამ ყველაფერში გამიტყდა... ოჰ, ღმერთო ჩემო, ამ დროს რომ გენახათ ის თქვენ და გაგეგონათ იმის სიტყვები... მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ის წმინდა არსება არის და გულწრფელათ ამბობდა ყველაფერს. ახლა ვერა ის ვერა აღარ არის, რაც უწინ იყო... მე ვიცი, რომ შემდეგში ის კარგი ცოლი და კარგი დედა იქნება...

— ვერ იტყვით — რა ნაირი ხასიათისაა თქვენი ცოლი? ჰკითხა პროკურორმა.

— ვერას ძალიან ლბილი, კეთილი, მაგრამ სუსტი ხასიათი აქვს; ასე რომ ვინც კარგათ და მოფერებით მოეპყრობა, ადვილათ დაიმორჩილებს და, რაც უნდა, იმას აქნევინებს...

— თქვენ ხომ არ გინახავთ როდესმე, რომ პარიცკი ეფერებოდა თქვენ ცოლსა? ჰკითხა პარიცკის ადვოკატმა — პლევაკომ.

— არა, უფ. ადვოკატო! მე იმ ეთის ხასიათის კაცი ვარ, ეს რო მენახა, დარწმუნებული იყავით, არცერთი არ გადამირჩებოდა ცოცხალი!

— როგორ გგონიათ — რისთვის დაეთანხმებოდა თქვენი მეუღლე პარიცკის მუკლის წახდენაზე?

— მე მგონია, იმას ეშინოდა დედმამის.... იქნება ჩემიც ერიდებოდა.

— თქვენ სიმამრს შეძლება აქვს?

— კარგი! ერთი ქალი ჰყავსთ კიდევ და თითოს 25,000 მანეთი ერგებათ დედმამის გადაცვალების შემდეგ.

მეორე დღეს, 22 იანვარს, განაგრძეს მოწმეების კითხვა.

მოსკოვის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგმა — კ ა ს ტ ი ლ ე ვ მ ა — თითქმის ყველაფერი ისე აჩვენა, როგორც დმიტრიევამ ილაპარაკა. „ერთხელ, 1868 წლის, მოსკოვში მომივიდა რიაზანიდამ ტელეგრამმა, რომელშიაც დმიტრიევა მთხოვდა აქ მოსვლას; მე მოვედი და ძალიან გაკვირვებული ვიყავი, როცა შევიტყე, რომ დმიტრიევა საპყრობილეში ვნახე. იმან გამიტყდა, რომ, პარიცკის სიყვარულისთვის, მე ქურდობა შემოვიხვიე თავზე იმ იმედით, რომ არაფერი დაგემართებაო. მაგრამ, ხომ ჰხედავთ, ახლა დაჭერილი ვარ, და არ ვიცი, რა ვქნაო. მე უთხარი, რომ, უნდა იცოდეთ, ჭეშმარიტება, ადრე იქნება თუ გვიან, უთუოთ ამოჩნდება და ამიტომ გირჩევთ ახლავე გატყდეთ და სწორი ამბავი უთხრათ გამომძიებელს, მეთქი.— ამას უნდა დაუმატო, რომ ეს ათი წლიწადია სასამართლო ნაწილში ვმსახურებ, ოთხი წლიწადი გამომძიებლათ ვიყავი და ბევრი დამნაშავეებისთვის ჩამომირთმევია ჩვენება, მაშასადამე ტყუილსა და მართალს ჩვენებას ადვილათ გავარჩევ.—მაგრამ, წმინდა სინიდისით ვამბობ, რომ დმიტრიევა ისე გულწრფელათ გამიტყდა, რომ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს მართალს მელაპარაკებოდა.

შემდეგ ჩამოართვეს ჩვენება დმიტრიევას ბიძას ბალიჩს — რომელსაც ფულები (38,000 მან.) დაეკარგა. მაგრამ ეს ისე უთავ-ბოლოთ ლაპარაკობდა და იმდენჯერ შესცვალა ჩვენება, რომ კაცი იფიქრებდა-სრული ჭკუის არ არისო და იმის ნათქვამიდამ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო. ჯერ სთქვა, რომ სოფელში დამეკარგა ფულებიო, მერე არა, სოფელში კი არა, ლიპეცკში ვიყავი იმ დროს და იქ მომპარესო. პირველათ სთქვა, რომ 25 ივლისს შევიტყე ბილეთების დაკარგვაო და მერე ეს ჩვენება შესცვალა და სთქვა, რომ 23 ივლისს შეიტყო ჩემმა ცოლმაო.

— ვერა პავლოვნაზე ხომ არა გაქვთ თქვენ ეჭვიო? ჰკითხა ურუსოვმა.

— არ, უპასუხა ბალიჩმა.

— მაშ ვიზე?

— რიაჟსკში ბურინსკაიას გაუყიდნია ჩემი ბილეთები; მაშასადამე ფულებიც იმას მოუპარავს.

— ვერა პავლოვნა აკი თქვენ წინ გატყდა, რომ ბურინსკაია მე მოვაწერე იმ ქაღალდს, რომელიც თქვენ ჩ გივარდათ ხელში?

— შეიძლება...

— მაშ ახლა დმიტრიევას აბრალებთ თქვენ ქურდობას? ჰკითხა პლევაკომ.

— იქნება...

— ახლა არა თქვით არ ვაბრალებო, მოთმინებიდამ გამოსულმა ურუსოვმა დაიყვირა,—მე ასე ჩავიწერე ეს არის.

— ჩაწერეთ? მაშ ისევ წაშალეთ, გულგრილათ სთქვა ბალიჩმა.

შემდეგ სხვა ყველა მოწმეებს ჩამოართვეს ჩვენება. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საქმის გამოძიება გათავებულიაო და ახლა მხარეებმა, ე. ი. პროკურორმა და ადვოკატებმა, უნდა ილაპარაკონო. ბამამტყუნებელი აქტი დაფუძნებული იყო დმიტრიევას და ზოგიერთი მოწმების ჩვენებაზე და პროკურორი ამათ ჩვენებისა დაგვარათ ამტყუნებდა ყველა ბრალდებულებს. ამან სამ საათზე მეტი ილაპარაკა და ბოლოს სთქვა, რომ პარიცკის ვაბრალებ — 38,000 მ. ქურდობას და დმიტრიევას მუცლის წახდენასაო; დმიტრიევა უნდა დაისაჯოს იმისთვისო, რომ იმან დამალა პარიცკისაგან მოპარული ფულები და ამას გარდა საპოჟკოვი, დიუზინგი და პარიცკი მუცლის წასახდენათ მიუშვაო; დიუზინგი იმაშია დამნაშავეო, რომ საპოჟკოვს ურჩევდა მუცლის წახდენასო და საპოჟკოვი იმაშიო, რომ სხვა და სხვა საშუალებას ხმარობდა დმიტრიევას მუცლის წასახდენათ; კასელს, პროკურორის აზრით, ის ჩაეთვლებოდა დანაშაულობათ, რომ იცოდა, რომ დმიტრიევას მუცელს უხდენდენ და არ შეატყობინა მთავრობას.

თ. უ რ უ ს ო ვ ი, დმიტრიევას დამცველი, ყველაფერს პარიცკის აბრალებდა და, იმის აზრით, მხოლოთ ის უნდა დასჯილიყო, რადგან დმიტრიევა იმან შეაცდინა და ჩაადენინა სხვა და სხვა დანაშაულობა.

პარიცკის ადვოკატმა — პ ლ ე ვ ა კ ო მ — ხუთ საათზე მეტი ილაპარაკა; ამან ცხადათ დაუმტკიცა სასამართლოს, რომ, დმიტრიევას ჩვენებას გარდა, არც ერთი იმეთი ფაქტი არ არის ამ საქმეში, რომელიც პარიცკის ამტყუნებდესო და არც დმიტრიევას ჩვენება არის ყველაფერში დასაჯერებელიო.

დიუზინგის დამცველი-ს პ ა ს ო ვ ი ჩ ი — უფრო საპოჟკოვს იცავდა, რადგან იმის გამართლებაზე დიუზინგის გამართლება იყო დამოკიდებული. სპასოვიჩმა დაარწმუნა მოსამართლეები, რომ საპოჟკოვს სრულიად არ უნდოდა დმიტრიევასთვის მუცლის წახდენაო; მაშასადამე, თუ საპოჟკოვი არ არის დამნაშავე, არც დიუზინგი იქნებაო, რადგან მხოლოთ საპოჟკოვის შეცდენას აბრალებენო.

ადვოკატებსა და პროკურორს შუა ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, ნაფიცებისთვის დაწერეს კითხვები, რომელშიაც ეწერა — დამნაშავეა ესა და ეს ბრალდებული ამა და ამ დანაშაულობაში, თუ არაო, და თუ დანაშაულია, ღირსია შეწყნარების, თუ არაო. შემდგომ თავმჯდომარემ გაურკვია ნაფიცებს ამ საქმის გარემოება და ურჩია იმათ, რომ, სინიდისისა და კანონისა მებრ, გადაეწყვიტათ ეს შესანიშნავი საქმე.

თავმჯდომარემ ჩააბარა ნაფიცთ კითხვის ფურცელი და ესენი გავიდნენ ზალიდამ მეორე ოთახში, სადაც ყოველ კითხვაზე პასუხი უნდა დაეწერათ და ამ ნაირათ ბრალდებულების ბედის წერა უნდა გადაეწყვიტათ.

მოაწია ამ დრამმის უკანასკნელმა მოქმედებამ. ახალ-ახალი გუნდი მაყურებლებისა თან და თან მოდიოდა სასამართლოს ზალაში. ბოლოს ისე გაივსო ეს ზალა, რომ, დასაჯდომი კი არა, ფეხზე დასადგომი ადგილიც არსად იყო. ყველას უნდოდა შეეტყო, რითი გათავდებოდა საქმე. ერთი გროვა აფიცრები შემოხვეოდნენ პარიცკის და ამ აფიცრებში გაცხარებულ სიტყვებთან მუქარებიც ისმოდა; უმეტესი ნაწილი იმათგანი, ეტყობოდა, პარიცკის გამტყუნებას მოელოდა. ზოგი აფიცრებთაგანი კი ისეთის სახით იყურებოდნენ, რომ, კაცი იფიქრებდა, თუ პარიცკი გაამტყუნეს, უთუოთ რასმე მოახდენენო. ყველას გული უძგეროდა მოლოდინით. დმიტრიევას ადვოკატმა, ურუსოვმა, გამოუცხადა პოლიცმეისტერს, რომ რევოლვერი მაქვს ჯიბეშიო. თავმჯდომარეს გაეგო, რომ შესაძლებელი იყო, არეულობა მომხდარიყო, და საზოგადოებაში პრისტავები და სალდათები ჩააყენა...

ორი საათის მოლოდინის შემდეგ, ნაფიცნი გამოვიდნენ. ყველამ სული დაიმა; ნაფიცების უფროსი ქაღალდით ხელში წამოდგა წინ.

— თავიდამვე ვაცხადებ, ხმა-მაღლა სთქვა თავმჯდომარემ, რომ სასამართლო მოქმედებს ხელმწიფე იმპერატორის სახელით და ყოველი იმის გადაწყვეტილება ეგრეთვე უნდა აღსრულდეს, როგორც თვით ხელმწიფის გადაწყვეტილება. ამიტომ, ვინც რითიმე იმ გადაწყვეტილების მოწონებას ან გაკიცხვას გაბედავს, რომელსაც ახლა წაიკითხვენ აქ, იმას დავატუსაღებ და, კანონისა მებრ, სასტიკ პასუხის გებაში მივსცემ.

ამის შემდეგ ნაფიცთ უფროსი წამოდგა წინ და წყნარი ხმით დაიწყო გადაწყვეტილების კითხვა, რომლის ძალით ყ ვ ე ლ ა ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი გ ა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ...

პუბლიკამ წყნარათ მოისმინა გადაწყვეტილება. პარიცკიმ საჭჯერ გამოისახა პირჯვარი და მოაჯირიდამ გადაეხვია თავის ადვოკატს. დიუზინგმა, მომეტებულის სიხარულისაგან, ტირილი დაიწყო. კასელი ჰკოცნიდა თავის დამცველს. დმიტრიევა და საპოჟკოვი წყნარათ ისხდენ ჩაფიქრებულები.

— ახლა თქვენ თავისუფალი ხართ, უთხრა ბრალდებულებს თავმჯდომარემ,—შეგიძლიანთ მოაჯირიდამ გამოხვიდეთ და დასხდეთ იქ, სადაც ყველა პატიოსანი და გაუსვრელი კაცები სხედან.

მოსამართლეები გავიდნენ ზალიდამ. საღამოს ცხრა საათი იყო. პუბლიკა მოეხვია ბრალდებულებს და ყველანი სიხარულით ულოცავდნენ გამართლებას. დმიტრიევა კიდევ თავმოდრეკილი იჯდა მოაჯირის იქით; იმას არც სიხარული და არც წყენა ეტყობოდა სახეზედ. პარიცკი მივიდა იმასთან, გაუშვირა ხელი და უთხრა:

— მოგილოცავთ, ვერა პავლოვნა! მოგილოცავთ....

დმიტრიევა უეცრათ შეჰკრთა და პირი იქით მიიბრუნა...

ამ დროს მოახლოვდა დიუზინგი

— მოგილოცავთ, მოგილოცავთ! ვერა პავლოვნა, და ჩამოართვა ხელი. — ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა!

— მადლობელი ვარ, ავგუსტ ფიოდოროვიჩ, უპასუხა დმიტრიევამ. მომიტევეთ... რაც მე თქვენ წინააღმდეგ ვილაპარაკე.

— ეჰ, ახლა რაღა გასახსენებელია, ვერა პავლოვნა! რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ ყველა დამნაშავენი ვართ, მაგრამ ყველამ ჩაიარა.....

---

# ბიბლიოგრაფია

„კ რ ე ბ უ ლ ს“ მთავრობისაგან ნება მიცემულია ჟურნალათ გამოცემაზე, და მისი რედაქცია აცხადებს, რომ ამ თვეშივე გამოსცემს ამ ჟურნალის მესამე და მეოთხე წიგნს. ჩვენ დიდის სიამოვნებით ვატყობინებთ ამ ამბავს მკითხველს, ამიტომ რომ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ „კრებულის“ რედაქცია თავის დაპირებას აასრულებს და მისცემს მკითხველს „სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავს.“

„კრებულის“ რედაქცია აცხადებს, რომ „დროებაზე“ და „კრებულზე“ ერთათ ხელისმოწერა მიიღებაო. ამას ჩვენ უნდა დაუმატოთ აქ, რომ ამ ორ გამოცემას შუა, ხელის მოწერას გარდა, სხვა კავშირიც იქნება. ორივე რედაქციის აზრით, გაზეთს, „დროებას“, ის დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რომ მკითხველი მასში ახალ ამბებს, თანამედროვე ცხოვრების გაკვრით გამოსახვას და დაფასებას პოულობდეს. გაზეთს საკმაო ადგილი არა აქვს მოთხრობებით, კომედიებით, რომანებით, დაწვრილებული ისტორიული სტატიებით, ვრცელი კრიტიკით და სწავლული გამოკვლევით გააცნოს მკითხველი ძველ და ახალ ბუნების და კაცობრიობის ცხოვრებას. ეს შრომა წიგნის, ჟურნალის საქმეა, და ეს საქმე იკისრა „კრებულმა“; ჩვენ კი გვიკისრია გაზეთის საქმე.

ამნაირათ „კრებული“ და „დროება“ ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარი და შემავსებელი იქნებიან.—რა ცოდნით და მოხერხებით შევასრულებთ ჩვენ ამ მოვალეობას, ამის გასჯა ჩვენი კი არა, მკითხველის საქმე იქნება. შეძლებისამებრ, ორივე რედაქცია სინიდისიანათ მოეკიდება თავის საქმეს.

---

# ნარევი

პარიჟის კომუნას გადაუწყვეტია, რომ კონტრიბუციის (5 მილიარდის) გადასახდელათ, სამეფო მამულები და ქონება უნდა გაიყიდოსო. სხვათა შორის, კომუნის აზრით უნდა გაიყიდოს სან-კლუს, ფონტენებლოს და ვერსალის სახელმწიფო სასახლეები და ბაღები. მყიდველები ახლაც ამოჩენილან. ყველა ამაებიდამ ავიღებთ 7 მილიარდ ფრანკსაო, რომლიდამაც ხუთ მილიარდს ნემცებს მივსცემთ და დანარჩენი საფრანგეთსავე გამოდგებაო.

***

იმ რევოლიუციის გამო, რომელიც პარიჟში სუფევს ახლა, 150.000 მცხოვრები გასულა ამ ქალაქიდამ. ამას გარდა 200,000 მეტი უცხო ქვეყნელები უნდა მოსულიყვნენ პარიჟის სანახავათ, თუ რა მდგომარეობაშია ის ომის შემდეგ, მაგრამ, აგრეთვე ამ არეულების გამო, ძლიერ ცოტანი მოვიდნენ. პარიჟში მისულა ჩუმათ ლონდონის საიდუმლო პოლიციის უფროსი: ის გამოჰყოლია უკან იმ ოთხი ათას ქურდებს, რომელნიც, როგორც ამბობენ, ლონდონიდამ პარიჟში მისულან, რადგან იმედი აქვთ რომ ამ არეულობის დროს, იქ თავის ხელობის საქმეს იპოვნიან.

***

ერთს რუსულს გაზეთში სწერენ, რომ ამ მოკლე ხანში ვარშავში მგზავრათ გაუვლია გამოჩენილ მომღერალ ქალს — პატტის. იქაური თეატრის დირექციამ სთხოვა ამ ქალს, რომ ემღერა სცენაზე, მაგრამ პატტიმ უპასუხა თურმე, რომ თითო გამოსვლაზე 5,000 ფრანკს (1,600 მანეთს) თუ მომცემთ, გამოვალ და ვიმღერებო. სხვაგან კი, დიდ ქალაქებში, ეს მომღერალი ისე არ გამოვა სცენაზე, თუ 10 და ხან 15 ათასი ფრანკი არ მისცეს. ერთი უბრალო ლექსის სიმღერისთვის, ათ ან ოც მინუტში, ორი და სამი ათასი მანეთის აღება, ღმერთმანი, კარგი საქმეა.... ასე უხვათ ჩვენ დროში მხოლოთ მომღერალისა და ადვოკატის ნიჭი და შრომა დასაჩუქრდება....

***

ამბობენ, რომ გარიბალდი შემდეგში აღარ გაერევა პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებშიო; ამ მოხუცებაში ის მეურნეობას ჰკიდებს ხელსა. ახლა იმას უთხოვნია მმართებლობისთვის მიწები სარდინიაში და ჰსურს სამაგალითო მეურნეობა გამართოს თურმე იქ.

***

ამას წინეთ მგონი ჩვენს გაზეთშიაც იყო ნათქვამი, რომ ჩვენი მცნობი შ ა მ ი ლ ი არაბეთში დაესახლა, სადაც მართლ-მსაჯულების სალოცავი ადგილები და წმინდა ქალაქებია — მაბა და მედინა. ახლა სტამბოლიდამ იწერებიან, რომ შამილი მომკვდარა მედინაში.

***

გაზეთებში სწერენ, რომ ნაპოლეონი და რომის პაპი ორივე ძალიან ავათ არიანო. გასაკვირველი და შესანიშნავია იმათი ბედის წერა! თითქმის ორივე ერთად ამაღლდნენ: პიო IX 1846 წელს გახდა რომის პაპათ და ნაპოლეონი თითქმის ამ დროსვე (1848 წლის დამლევს) ამოირჩიეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ; ორივე ერთი ბედი მოუვიდათ (შარშან), ახლა ორივე ერთად გამხდარან ავათ და, ვინ იცის, იქნება ორივემ ერთათ მიატოვონ ეს ამაოებით და მუხთლობით სავსე წუთი სოფელი....

***